უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 19

20 13 წ. "16" 09.

ქ.თბილისი

შპს - საქართველოს უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების ანგარიშში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-13 მუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს - საქართველოს უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 205037137) მიენიჭოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1	ბუღალტრის მესამე საფეხურის პროფესიული პროგრამა	მესამე საფეხური	ბუღალტრის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია (020151)	30
2	ბუღალტრის მეოთხე საფეხურის პროფესიული პროგრამა	მეოთხე საფეხური	ბუღალტრის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია (020151)	30
3	კომპიუტერული ქსელები და სისტემები მესამე საფეხურის პროფესიული პროგრამა	მესამე საფეხური	კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია (040154)	45
4	კომპიუტერული ქსელები და სისტემები მეოთხე საფეხურის	მეოთხე საფეხური	კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ტექნიკოსის	60

	პროფესიული პროგრამა		მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია (040154)	

2. შპს - საქართველოს უნივერსიტეტს სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობიდან პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა განესაზღვროს 200-ით.
3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2013 წლის 16 სექტემბრის №3 სხდომის ოქმის მე-6 ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
ნინო ჩინჩალაძე

მდივანი
ანა ბახტურიძე